

**ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა**

**ქ. რუსთავში, შპს „ფერო ელოის ფროდაქშენის“ ფოლადის სადნობი ინდუქციური ღუმელების მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე შემოსული შენიშვნებისა და წინადადებების შესახებ**

შენიშვნა: ქ. რუსთავში, შპს „ფერო ელოის ფროდაქშენის“ ფოლადის სადნობი ინდუქციური ღუმელების მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე გამოკვეთილი უზუსტობებისა და დასაზუსტებელი საკითხების, მათ შორის სამოქალაქო მოძრაობის „გავიგუდეთ“ მიერ სააგენტოში წერილობით წარმოდგენილი შენიშვნების გათვალისწინებით, სააგენტომ 2023 წლის 20 მარტის წერილით (N 21/1869) მიმართა საქმიანობის განმახორციელებელს. ამასთან, დაზუსტებული ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენამდე მიიღო გადაწყვეტილება ადმინისტრაციული წარმოების შეჩერების შესახებ. აღნიშნული წერილის პასუხად, შპს „ფერო ელოის ფროდაქშენის“ მიერ წარმოდგენილ იქნა პროექტთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია (წერილი N2512; 24.03. 2023).

N	შენიშვნების და წინადადებების ავტორები	შენიშვნების და წინადადებების შინაარსი	პასუხი
1	სამოქალაქო მოძრაობა „გავიგუდეთ“	გზმ დოკუმენტში არ არის მოწოდებული სრული ინფორმაცია მოსაზღვრე ობიექტების და მათი ფუნქციური დატვირთვის შესახებ, შესაბამისი მანძილების მითითებით. მაგალითად, ნახსენები არაა სს „მშენმექანიზაცია“, რომელიც დაშორებულია 250 მეტრით; შპს „კანო“ - დაშორებულია 160 მეტრით; სს „კომპლექტი“ - მდებარეობს 320 მეტრში; შპს „ჩიორა“ - 200 მეტრში; შპს „სანდო“ - 230 მეტრში; სს „სარინი“ - 460 მეტრში; შპს „ქართული არყის კომპანია“ - 450 მეტრში; შპს „ჯორჯიან ინთერნეიშენალ სერვის“ - 410 მეტრში	კომპანიის მიერ დამატებით წარმოდგენილ დოკუმენტში წარმოდგენილია საწარმოს ტერიტორიიდან 500 მ-იან რადიუსში არსებული ობიექტების შესახებ ინფორმაცია, რომლის მიხედვით 500 მეტრის რადიუსის საზღვრებში ხვდება: შპს „სტანდარტ ცემენტის“ ცემენტის საწარმო, შპს „სანდოს“ სამშენებლო ბლოკების საწარმო, შპს „კანოს“ ლითონკონსტრუქციების ქარხანა, შპს „გრანდის“ რკინის ნაკეთობების საწარმო (რომელიც ამჟამად არ ფუნქციონირებს), შპს „გილდიას“ ჯართის მიმღები პუნქტი, სს „ყაზბეგის“ ლუდის კომბინატი (ამჟამად არ ფუნქციონირებს), სს „მშენმექანიზაციის“ კუთვნილი ტერიტორია სადაც ხდება მძიმე ტექნიკის იჯარით გაცემა, სს „კომპლექტის“ სასაწყობო ტერიტორია, შპს „ჩიორას“ ავტოტექნომსახურება.

2	სამოქალაქო მოძრაობა „გავიგუდეთ“	<p>წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საწარმოში ორი ღუმელის ერთად ფუნქციონირება არ არის მოსალოდნელი. ღუმელები ერთმანეთს ჩაენაცვლება მხოლოდ მაშინ, როდესაც ერთ-ერთი გამოვა მწყობრიდან. დოკუმენტში მოცემული ინფორმაციით, აღნიშნულის გარანტი არის წლიურად გამოშვებული პროდუქციის რაოდენობა. როგორ აპირებს გარემოს ეროვნული სააგენტო ამის კონტროლს? ექნება თუ არა კავშირი შემოსავლების სამსახურთან შესაბამის უწყებას წარმოებული პროდუქციის რაოდენობაზე ინფორმაციის მიღების მიზნით, რათა განსაზღვროს რამდენად კეთილსინდისიერად მუშაობს კონკრეტული საწარმო?</p>	<p>კომპანია ვალდებულია საქმიანობა განახორციელოს გზშ-ის ანგარიშით წარმოდგენილი ტექნოლოგიური სქემის მიხედვით, რაზეც ზედამხედველობის განხორციელებას უზრუნველყოფს სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი. ამასთან აღსანიშნავია, რომ ღუმელების ერთდროულად ფუნქციონირების შემთხვევაში ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების კონცენტრაცია გადააჭარბებს ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტით დადგენილი ნორმებს. რაც მოცემული საწარმოს შემთხვევაში გაკონტროლდება უწყვეტი მონიტორინგის სისტემით. ხოლო გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობის შესაბამისად, კომპანია ვალდებულია ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტით სააგენტოსთან შეთანხმებული გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების, ასევე, აირმტვერდამჭერი მოწყობილობების პარამეტრების დაცვა და შესაბამისად დადგენილი ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების შესრულება.</p>
3	სამოქალაქო მოძრაობა „გავიგუდეთ“	<p>გზშ ანგარიშის 3.1 თავში - „ტექნოლოგიური სქემა და რეგლამენტი“ - აღნიშნულია, რომ „ტერიტორიაზე ასაშენებელი შენობა იქნება ფარდულის ტიპის შენობა, რომელიც მხოლოდ ზემოდან იქნება გადახურული, ხოლო გვერდებიდან იქნება ღია, აღნიშნული შენობის ფართი იქნება 150 მ<sup>2</sup>, ზომებით 25x60 მ“. თუმცა არ იკვეთება კონკრეტულად რა მიზნისთვის იქნება ეს შენობა გამოყენებული - ნედლეულის დასასაწყობებლად, თუ მზა პროდუქციის დასაწყობებისთვის, ან კიდევ სხა მიზნით? როგორც საჯარო განიხილვაზე კომპანიის</p>	<p>გზშ-ის ანგარიშის თანახმად, თავდაპირველად დაგეგმილი იყო ფარდულის ტიპის შენობის მხოლოდ ზემოდან გადახურვა, მაგრამ მეწარმის მიერ შემდგომში გადაწყდა მისი ოთხივე მხრიდან დახურვა. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილ გენგეგმაზე და ტექსტურ ნაწილში, ასევე დამატებით წარმოდგენილ ინფორმაციაში აღნიშნულია შენობის გამოყენების შესახებ ინფორმაცია. აღნიშნულ შენობაში განთავსებული იქნება ინდუქციური ღუმელები, ტრანსფორატორი, ქვიშის და თიხის საწყობი, ბიგ-ბეგის ტომრებში მოთავსებული მტვერდამჭერ სისტემაში დაჭერილი ლითონის შემცველი მტვერი, ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული</p>

		წარმომადგენელმა განმარტა, შენობა გამოყენებული იქნება ღუმელების დასამონტაჟებლად და გვერდებიდანაც დახურავენ. კარგი იქნება, ეს საკითხი გზმ ანგარიშშიც გაიწეროს.	ჯართი, კონდენსატორი, პროდუქციის საწყობი და ა.შ.
4	სამოქალაქო მოძრაობა „გავიგუდეთ“	სასურველია, გენ-გეგმაზე მითითებული იყოს ის ტერიტორია, რომლის გამოყენებაც იგეგმება საკაზმე ჯართში აღმოჩენილი ფეთქებადი საგნების (სხვადასხვა დანიშნულების ბალონები, დახურული და ზეთიანი საგნები, ამორტიზატორები, ჯეკოები) უსაფრთხო დასაწყობებისთვის.	წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად მიღებულ ჯართში ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული ჯართის შემთხვევით მოხვედრის შემთხვევაში, დროებით განთავსდება საწარმოო შენობაში და შემდგომ ჩაბარდება ჯართის მიმღებ პუნქტს. ჯართში ფეთქებადი საგნების აღმოჩენის შემთხვევაში, ხდება მათი ამოღება და უსაფრთხო ადგილზე დასაწყობება (უსაფრთხო ადგილად ითვლება შეზღუდული ხელმისაწვდომობა არა ავტორიზებული პერსონალის, ასევე შეძლებისდაგვარად მაქსიმალური დაშორება სამუშაო სივრციდან) და ინფორმაცია მათი აღმოჩენის შესახებ ეცნობება შესაბამის სამსახურს, რომელიც მოახდენს მის გატანას.
5	სამოქალაქო მოძრაობა „გავიგუდეთ“	გზმ-ის დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ წიდის ლაბორატორიული კვლევები ჩატარდება უშუალოდ მათ რეალიზაციამდე. გამომდინარე იქიდან, რომ ქ, რუსთავში მწვავედ დგას წიდის მართვის საკითხები, გარემოს ეროვნულ სააგენტოს ვთხოვთ, რომ გარემოსდაცვით გადაწყვეტილებაში პირობის სახით ასახოს კომპანიის მიერ წიდის ლაბორატორიული კვლევებისა და რეალიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციის პერიოდული წარდგენა;	წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საწარმოში წარმოქმნილი წიდა არ არის რადიაციული, რეაქციაში არ შედის წყალთან და არ იძლევა ტუტე რეაქციას. შავი ლითონის წიდა წარმოდგენს არასახიფათო ნარჩენს, იგი დროებით დასაწყობდება საწარმოო ტერიტორიაზე, რომელიც მობეტონებული იქნება და შემდგომ გადაეცემა იმ საწარმოებს, რომელიც აწარმოებენ სამშენებლო ბლოკებს და გამოიყენება ინერტულ მასალებთან ერთად შემავსებლად.  ამასთან, კომპანიას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების პირობით განესაზღვრა ექსპლუატაციის ეტაპზე წიდის ლაბორატორიული კვლევის უზრუნველყოფა (პროცენტული შემადგენლობა) და აღნიშნულის გათვალისწინებით წიდის გამოყენების შესაძლებლობის/მიმართულების და კონკრეტული საწარმოების (შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაციით)

			განსაზღვრა, ასევე ზემოაღნიშნული ინფორმაციის სააგენტოში საწარმოს ექსპლუატაციაში შესვლიდან ექვსი თვის ვადაში წარმოდგენა;
6	სამოქალაქო მოძრაობა „გავიგუდეთ“	გზმ თავი 4.11-ში - „ნარჩენების წარმოქმნა და მათი მართვის პროცესში ზემოქმედება, ნარჩენების მართვის პირობები“ - ნახსენებია, რომ „მტვერდამჭერ სისტემაში დაჭერილი ლითონის შემცველი მტვერი, დროებით დასაწყობდება და შემდგომ გადაეცემა აგლომერაციის უფლების მქონე წარმოებებს“. სასურველია დოკუმენტში აღწერილი იყოს ამ მტვერის დროებითი დასაწყობების პირობები - შეინახება თუ არა მტვერი ჰერმეტიკულად დახურულ, ატმოსფერული ნალექებისა და ქარისგან დაცულ პირობებში?	წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად მტვერდამჭერ სისტემაში დაჭერილი ლითონის შემცველი მტვერი ციკლონიდან პირდაპირ ჩაყრილი იქნება ბიგ-ბეგის ტომრებში და ის დროებით დასაწყობდება საწარმოო შენობაში და შემდგომ გადაეცემა აგლომერაციის უფლების მქონე წარმოებს.
7	სამოქალაქო მოძრაობა „გავიგუდეთ“	გზმ-ის ანგარიშში ნარჩენების მართვის მნიშვნელოვნება შეფასებულია როგორც „საშუალო“. აღნიშნული ჩანაწერი გაუგებარია იმის გათვალისწინებით, რომ წიდის, როგორც ნარჩენის მართვა წარმოადგენს საწარმოების უმეტესობის უმთავრეს გამოწვევას;	წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საწარმოში წარმოქმნილი წიდა დროებით საწყობდება საწარმოში მობეტონებულ ტერიტორიაზე, შემდგომ გადაეცემა იმ საწარმოებს, რომელიც აწარმოებენ სამშენებლო ბლოკებს და გამოიყენება ინერტულ მასალებთან ერთად შემავსებლად. ხოლო სხვა სახის ნარჩენები, შემდგომი მართვის მიზნით, გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე ორგანიზაციებს. ნარჩენებით გარემოს დაბინძურების პრევენციის მიზნით გზმ-ის ანგარიშში განსაზღვრულია შემარბილებელი ღონისძიებები.  ამასთან, კომპანიას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების პირობით განესაზღვრა საწარმოს მოწყობამდე წიდის დროებით დასაწყობების ტერიტორიის შესახებ დეტალური ინფორმაციის (მათ შორის ფართობი, X,Y კოორდინატები, დროებით დასაწყობებული წიდის მოცულობა და სხვა) სააგენტოში განსახილველად წარმოდგენა;

8		<p>საინტერესოა, რა მდგომარეობაა თვითმონიტორინგის სისტემის დამონტაჟებასთან დაკავშირებით? როდის ჩაერთვება საწარმო ელექტრონულ სისტემაში? როგორც საწარმოს დირექტორმა საჯარო განხილვაზე აღნიშნა, მისი ეს კონკრეტული საქმიანობა არ საჭიროებს თვითმონიტორინგის სისტემის დამონტაჟებას, ვინაიდან წარმოებას არ აქვს დიდი რაოდენობით გაფრქვევები. სასურველია, სამინისტროსგან არსებობდეს დადასტურებული პასუხი/დოკუმენტი, რომელიც მიუთითებს ექვემდებარება თუ არა აღნიშნული წარმოება გაფრქვევების გაზომვას თვითმონიტორინგის მეთოდით.</p>	<p>გზმ-ის ანგარიშის თანახმად, ინდუქციურ ღუმელზე დასამონტაჟებელ გამწოვ სისტემაზე, რომლებიდანაც გამოყოფილი მავნე ნივთიერებები გაივლის გამწმენდ სისტემას (ციკლონს) საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №413 დადგენილების შესაბამისად გათვალისწინებულია უწყვეტი მონიტორინგის სისტემის დამონტაჟება. დამატებით წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საჯარო განხილვაზე საქმიანობის განმახორციელებლის მიერ აღნიშნული საკითხი არასწორად იყო განმარტებული.</p>
9		<p>საჯარო განხილვაზე კომპანიის წარმომადგენელმა გააჟღერა, რომ გეგმავს, აირმტვერდამჭერი სისტემა აღჭურვოს სახელოიანი ფილტრებითაც; თუმცა გზმ ანგარიშში მითითებულია, რომ აირმტვერდამჭერი სისტემა აღჭურვილი იქნება მხოლოდ ე.წ. ციკლონით. შესაბამისად, ეს ნაწილი გზმ ანგარიშში საჭიროებს დაზუსტებას, რათა დოკუმენტში ასახული და განხილვაზე გაჟღერებული ინფორმაცია ერთმანეთს ემთხვეოდეს</p>	<p>დამატებით წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საქმიანობის განმახორციელებლის მიერ საჯარო განხილვაზე აღნიშნულ საკითხზე განმარტება არასწორად იყო გაკეთებული, კერძოდ პროექტით სახელოიანი ფილტრის დამონტაჟება არ არის გათვალისწინებული. როგორც აღინიშნა ანგარიშის თანახმად გამწმენდი სისტემა აღჭურვილი იქნება, უწყვეტი თვითმონიტორინგის სისტემით.</p>

10	<p>გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი არქმედების ალტერნატივა არ არის სათანადოდ დასაბუთებული გარემოსდაცვითი მიმართულებით. ალტერნატივების განხილვის ძირითადი მიმართულება არის ეკონომიკური სარგებელი, მაშინ როდესაც დიდი ნაწილი უნდა ეთმობოდეს იმას, თუ რატომ არის კონკრეტულად ეს საქმიანობა, კონკრეტულად შერჩეულ ტერიტორიაზე გარემოსთვისა და უახლოესი მაცხოვრებლებისთვის უკეთესი</p>	<p>დამატებით ინფორმაციაში წარმოდგენილი განმარტების თანახმად საქმიანობაზე უარის თქმის შემთხვევაში ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალი მნიშვნელოვნად მცირდება, ხოლო გარემოზე ზემოქმედების თვალსაზრისით ის არ იწვევს მნიშვნელოვან ცვლილებებს.</p>
----	---	---

11		<p>გზმ-ის ანგარიშში ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედება განხილულია როგორც „საშუალო“. მაშინ, როდესაც მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიშში (გზმ თავი 4.1.1) იკვეთება, რომ უახლოეს დასახლებულ პუნქტთან საკმაოდ მაღალია არაორგანული მტვრის (0.72) და აზოტის დიოქსიდის (0.61) გაფრქვევის მაჩვენებლები</p>	<p>გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი გაანგარიშებების თანახმად, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული არცერთი მავნე ნივთიერების კონცენტრაცია, ასევე კუმულაციური ზემოქმედების გათვალისწინებით არ გადააჭარბებს ნორმით დადგენილ დასაშვებ მნიშვნელობას ობიექტიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლთან (300 მ) და კვების მრეწველობის ობიექტთან (150 მ) მიმართებით და არც 500 მ-იანი რადიუსის საზღვარზე, ამ თვალსაზრისით ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედება გზმ-ის ანგარიშში შეფასებულია როგორც საშუალო. კომპანიას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების პირობით განესაზღვრა საწარმოს მაქსიმალური დატვირთვის პირობებში კვარტალში ერთხელ, ასევე არახელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებში ინსტრუმენტული მონიტორინგის განხორციელება მავნე ნივთიერება მტვერ(TSP)-ზე და მავნე ნივთიერება აზოტის დიოქსიდ(NOx)-ზე და შედეგების სააგენტოში წელიწადში ორჯერ წარმოდგენა. ინსტრუმენტული მონიტორინგის შედეგად, საჭიროების შემთხვევაში კომპანიამ უნდა უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების შემცირების დამატებითი ღონისძიებების (მათ შორის საწარმოს ფუნქციონირების შეზღუდვა და სხვა) შემუშავება და შემარბილებელი ღონისძიებების შემუშავებიდან ერთი თვის ვადაში სააგენტოში შესათანხმებლად წარმოდგენა, და საქმიანობის შეთანხმებული ღონისძიებების შესაბამისად განხორციელება.</p>
----	--	---	--

